№ 263 დეკემბერი 14, ოთხშაბათი 1888 დეკემბერი 14, ოთხშაბათი 263 №

გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

1877—1888 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციასა ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, ხიდველის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

## „ივერია“

გამოვა 1889 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1889 წლისათვის, მიჰმართოს:

**ტფილისში:** ა) თვითონ რედაქციას, ფრეილინის ქუჩა, სახლი ბასტამოვისა, № 5; ბ) „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიას (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში).
**ქუთაისში:** ვარლამ ქილაძის წიგნის მაღაზიას.
**ხონში:** ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.
**ბათუმში:** მ. ნათაძეს.

**ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:**

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

შაბათს, 17 დეკემბერს, „ტფილისის საბრანიაში“

გამართული იქნება

სალიტერატურო და სამუსიკო

საღამო

„წერა-კითხვის საზოგადოების“

ღონის ძიების გასაძლიერებლად.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ზარუდნაია (იმღერებს ქართულს სიმღერებს), ფერგის-დავიდოვისა, ბიჩურინისა და ბ-ნნი ლოდი, ტარტაკოვი, სარაჯოვი, თ. ერისთავი, თ. გ. თუმანიშვილი, ბალანჩივაძე, კიკნაველიძე და ბურჯანაძე.

საღამოს შემდეგ იქნება

ტანცები.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

ბილეთები ისყიდება „საბრანიის“ შვეიცართან.

ОТКРЫТА ПОДПИСКА

НА ЕЖЕДНЕВНУЮ ЛИТЕРАТУРНО-ПОЛИТИЧЕСКУЮ ГАЗЕТУ

„КАВКАЗЪ“.

Въ 1889 году газета „Кавказъ“ будетъ выходить подъ прежнею редакціею и по прежней программѣ, ежедневно, не исключая и понедѣльниковъ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

СЪ ПЕРЕСЫЛКОЮ:

| Съ доставкою въ Тифлисѣ. | | | По Имперіи. | | | По почтовому союзу. | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| На годъ | 11 р. | 50 к. | На годъ | 13 р. | — к. | На годъ | 18 р. | 40 к. |
| „ ½ года | 6 „ | — „ | „ ½ | 7 „ | — „ | „ ½ года | 10 „ | — |
| „ 3 мѣсяца | 3 „ | 50 „ | „ 3 мѣсяца | 4 „ | — „ | „ 3 мѣсяца | 6 „ | — |
| „ 1 мѣсяцъ | 1 „ | 50 „ | „ 1 мѣсяцъ | 1 „ | 75 „ | „ 1 мѣсяцъ | 2 „ | — |

Подписка принимается **исключительно въ конторѣ** редакціи, **Тифлисъ**, уголъ Головинскао проспекта и Барятинской улицы, домъ Ротинова.

Для иногородныхъ адресовать: **Тифлисъ**, въ редакцію газеты „Кавказъ“.

### ტფილისი, 13 დეკემბერი

ჯერ ეს ვიკითხოთ,—რა არის ბუნებითად ეგრედ წოდებული უარ-მყოფელობა? ამას რომ გამოვარკვევთ, თავის თავად გამომზევდება რა წითელი კოჭია თვითონ უარ-მყოფელი მიმართულებაცა.

თვითონ სიტყვა რო ასო-ასოდ გამოვწლათ, დავინახავთ, რომ უარ-მყოფელობა „არას“ თქმაა, ანუ—მდაბიოდ რო მოგახსენოთ, ჩვენებურად, ქართულად,—ჭამას გვრაა და სხვა არაფერი. არ ვიცით, იქნება ეს სიტყვა ჯეროვანად არ არის შედგენილი ქართულად, ხოლო ეს-კი უეჭველია, რომ იგი ჰთარგმნილია რუსულისაგან. რუსულად ამ უარ-ყოფას, ანუ უარ-მყოფელობას отрицаніе ჰქვიან. თვითონ რუსულადაც, საიდამაც ნათხოვარსავით გადმოგვიღია ეს „отрицаніе“, ჭამას გვრაა, თუ ამ სიტყვას პატარა ენა არ დავუმოკლეთ და ნება მივეცით მთელის თავის სიგძე-სიგანით იმეტყველოს. ამიტომაც ვინც ამ სიტყვას ჰხმარობს რუსულ ლიტერატურაში, იმას ამ სიტყვის სარბიელი ვიწრო ფარგალითა აქვს შემოვლებული, რომ „არას თქმას“ არავინ «ჭამას გვრა» არ შესწამოს, რადგანაც „ჭამას გვრა“ მტყუანისა და სულელის ხელობაა და არა მართლისა და ჭკვათა-მყოფელისა.

ეს გვარი უარ-მყოფელობა, რომელიც არსად მიღებული არ არის და მარტო რუსულს ლიტერატურას-კი როგორღაც აეკვიატა, ძველის-ძველი ამბავია და სტყუიან ისინი, ვინც ახალის სახელით ამ უარ-მყოფელობას ასაღებენ. მას აქედ, რაც კაცთა ენამ «ჰო» და „არა“ მოიგონა და სამეტყველოდ თვის სიტყვიერებაში შეიტანა მყოფობისა და არ-მყოფობის გასარჩევად, ეს უარ-მყოფელობა არის ქვეყნიერობაზედ და იქნება კიდეც, ვიდრე კაცის გონება არ დასცხრება ჭეშმარიტების ძიებისაგან. ხოლო ამ ძიებაში მარტო „არა“-კი არა მოქმედობს, „ჰოსაც“ ისეთივე ღვაწლი მიუძღვის, როგორც „არასა“.

მთელი ისტორია კაცობრიობისა ყოველ გვარს სფეროში, საცა-კი ადამიანს წარმატების ძლევამოსილობა მიუძღვის და არ მიუძღვის, სხვა არა არის-რა გარდა გაუთავებელის ჭიდილისა „ჰოსა და არას“ შორის. ყოველივე ჭეშმარიტება, ყოველივე საქმე, რაც კაცობრიობას აღმოუჩენია კაცთა ცხოვრების, გულის, გონების განსაკარგებლად, გასაძლიერებლად, წარსამატებლად, ამ ჰოსა და არას ჭიდილით მოუპოვებია. ჭეშმარიტების აღმოჩენას, საქმეს ცხოვრების ასე თუ ისე გაწყობისასა და გარიგებისას სხვა გზა არა აქვს ამ ერთად-ერთის გზის მეტი. რა საგანსაც, რა მოვლენასაც-კი, კაცთა ხელიდამ, თუ გონებიდამ გამოსულს, გულში ჩაჰხედავთ, დაინახავთ, რომ ჰო-არაობის ჭიდილსა და ქარ-ცეცხლშია გამოტარებული. მართალია, გამარჯვება ერთისა თუ მეორისა, ჰოსი თუ არასი, ყოველთვის არა ჰნიშნავს ჭეშმარიტების გამარჯვებასა, მაგრამ მაინც ჰოსა და არას ჭიდილია ერთად-ერთი გზა ჭეშმარიტების აღმოჩენისა და პოვნისა. ტყუილად-კი არ არის ნათქვამი ერთის მეცნიერის ბრძნისაგან, რომ ცდომისაკენ ათასი გზა მიდისო და ჭეშმარიტებისაკენ-კი მარტო ერთად-ერთიო. ეს ერთად-ერთი გზა ჰოსა და არას დაპირისპირებაა.

ამიტომაც უარ-ყოფა ცალკე, ჰოსთან არ დაპირისპირებული, არ შეჭიდებული, ჭეშმარიტებისათვის სვის გატანაში სრულად უღონოა, როგორც ჰო, ამ შემთხვევაში ცალკედ უღლის მწეველი. შეჭიდება ჰოსი და არასი, მათი ერთმანეთთან დაპირისპირება და ამ გზით კვლევა მართლისა კრიტიკაა. კრიტიკა ბუნებითად ისეთი რამ არის, რომ ერთსა და იმავე დროს, ერთისა და იმავე საგნის კვლევაში ჰოსაცა და არასაც ამოქმედებს მართლის გამოსარკვევად და გამოსაჩენად. იგი ნებას არ იძლევა, რომ ან ერთმა და ან მეორემ ცალკე გაიწიოს და ცალკერძ სჭიმოს ჭაპანი ძიებისა და კვლევისა. როგორც ურემი სწორედ ვერ გაივლის, თუ ცალ მხრივ გააწევინე ხარსა, ისეც ძიება და კვლევა ჭეშმარიტებისა, ცალ კერძ ტარებული და განზიდული.

აი, ჩვენის ფიქრით, ჭეშმარიტი მნიშვნელობა უარ-მყოფელობისა და მისის არსებობის მიზეზი, საბუთი და ადგილი, ეგ ერთი მოჭიდავეა კრიტიკის ბრძანებლობის ქვეშ, ერთი ხელია, ხოლო უმეოროდ წარმოუდგენელი და სასაცილოდ ასაგდები. ჩვენ ამაზედ მორსაც წავალთ: უარ-მყოფელობა, კრიტიკაზედ დამოუკიდებლად ცალკედ დაბინავებული კაცის გონებაში, დიდი სულელობაა. რა არის უარ-ყოფა ცალკედ? ჰოს გაბათილებაა და მის სამაგიეროდ „არას“ გაჰოება, თუ ესე ითქმის. თუ ამ უარ-ყოფას თავის თავად შეუძლიან რამ, ხომ ამ გაჰოებულს არასაც თავისი ქამანდი უნდა უგდოს და ტახტიდამ გადმოაბძანოს, თუ ბოლომდე თავის საკუთარს წერას ჰსურს რომ აჰყვეს და თავის თავს არ უღალატოს, თავისი თავივე უარი არა ჰყოს, არ გააბათილოს. ნუ თუ ამისთანა წაჯეგ-უკუჯეგობა, მოძღვრებად გადაქცეული, მომცდარის ჭკუის სასაცილო ცუდლუტობა არ არის! თუნდ ამასაც თავი ვანებოთ: უარ-ყოფა სხვა მხრითაც რაღაც ჭკვა შეშლილის მასხარაობას მოგვაგონებს, იმიტომ-რომ «ჰოც» ისეთივე უარ-ყოფაა «არასი», როგორც «არა ჰოსი» და თუ სიმართლე, სიბრძნე და ლიბერალობა მარტო უარ-ყოფაშია, „ჰოსაც“, ვით „არას“ უარ-მყოფელს, ისეთივე პატივი უნდა ჰქონდეს, როგორც „არას“, „ჰოს“ უარ-მყოფელს.

შორს რომ არ წავიდეთ, განა, მაგალითებრ, სქოლასტიკა უარ-მყოფელობა არ იყო გონების თავისუფლად მსჯელობისა? განა ეგრედ წოდებული „ეპოქა განახლებისა“ უარ-ყოფა არ იყო სქოლასტიკისა? განა ერთსაცა და მეორესაც ერთსა და იმავე დროს თავისი ჰო არა ჰქონდათ, რომლის სახელითაც სხვის ჰოს უარსა ჰყოფდნენ! ორივე ერთმანეთის უარ-მყოფელნი იყვნენ და თუ ცარიელი უარ-ყოფა სასახელოა და საპატივო, მაშ განახლების ეპოქის უარ-მყოფელი სქოლასტიკა ისეთივე სასახელოდ მისაჩნევი უნდა იყოს უარ-მყოფელთა მოძღვრებისათვის, როგორც განახლების ეპოქისაგან უარ-ყოფა სქოლასტიკისა. უფრო ახლოდამ მოვიყვანთ მაგალითს. Московскія Вѣдомости დღეს უარ-ჰყოფენ ყველა იმ სახელოვანს რეფორმებს, რომელიც მოახდინა განსვენებულმა იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ, და მთელი დასი ლიბერალებისა რუსეთში ებრძვის «Московскія Вѣдомости»-ს და ყოველს მის „არას“ ერჩის „ჰოს“ თქმითა. ამ ჭიდილში უარ-ყოფა რომ საშველად მიუშვას კაცმა,—აბა შენს მომხრეს დააძლევინე მოჭიდავეო, არ ეცოდინება ვის მიეშველოს, რადგანაც „ჰოს“ მთქმელნიც, ისეთივე უარ-მყოფელნი არიან «Московскія Вѣдомости»-ს „არასი“, როგორც ეს უარ-მყოფელია ლიბერალთა დასის „ჰოსი“.

თუ ეს სულელი უარ-ყოფა ამ სასაცილო ყოფაში ჩაიგდებს ხოლმე თავსა, როცა კრიტიკის ბძანებლობიდამ გამოდის და ცალკე ჰბატონობს, მაშ რიღად მაქნისია, რომ ესე ებღაუჭებიან და მაგ კრიტიკის საბძანებლიდამ გამოპარულს ყმასა, კალთაზედ რადას ეჭიდებიან, წადი და წაგვათრიე საომრადაო. ეს ხომ იმასა ჰგავს, მკვდარი მკვდარს აეკიდა, სამარემდე წამიღეო. მართლა-და,—რა არის ეს ცალკე უარ-მყოფელობა, თუ არ „ჭამას გვრა“ ყველგან და ყველაფერზედ! ეგ „ჭამას გვრა“ დიდი ხანია შემოღებული და ნაგეში ყველგან საერთოდ და ჩვენში ცალკედ. ერთს ქურდსა და ავაზაკსაც ვერა ჰნახავთ, რომ ამ „ჭამას გვრაში“ გაოსტატებული არ იყოს. ნუ თუ ესეთი ხელობა, ესეთი ოსტატობა მომასწავებელია სიბრძნისა, ლიბერალობისა და სხვა ამისთანა საქებურ სახელოვანებისა! ნუ თუ ეს ჭეშმარიტების ძიება და კვლევაა და არა სორისა და ხვრელის თხრა, რომ ტყუილი შეძვრეს და თავი შეითაროს! გვიკვირს, უარ-მყოფელობა თავის თავად, როგორც ერთი რამ ცალკე განსაკუთრებული მოძღვრება,—როგორ ჰბოგინობს ადამიანის საღს გონებაში და ან კაცის გონება როგორ იშვნევს და ჰკადრულობს ამ სასაცილობას. ეს ხომ ადამიანის ჭკუის გაუქმება და გაბათილებაა. ამ დუდგულას თოფით სვლას უარ-მყოფელ მიმართულებას ეძახიან და წარმოიდგინეთ, არც-კი ჰთაკილობენ...

თუ ჩვენს შინაურ უარ-მყოფელებს ამის თქმით ისა ჰსურთ აუწყონ ქვეყანას, რომ „არას“ ჭეშმარიტების ძიებაში თავისი კუთვნილი ადგილი უნდა ეჭიროსო, როგორც თანასწორ მოპირისპირეს „ჰოსას“, მაშინ რაღა საჭირო იყო ახალის სახელის მოგონება, როცა უკვე მოგონილი სახელი უფრო უკედ გვამცნევს საგანს და ყველგანაც მიღებულია, როგორც საგნის ზედ-გამოჭრილი სახელი. ეგ სახელი კრიტიკაა და იგი ერთსა და იმავე დროს „ჰოსაცა და არასაც“ ერთ ნაირად და მიუდგომელად ამოქმედებს და როგორც ტალსა და კვესსა ერთმანეთს ახვედრებს ჭეშმარიტების დასაკვესებლად. თუ უარ-მყოფელობის სახელ ქვეშ კრიტიკა ეგულებათ, მაშინ მარტო ეს-და გვეთქმის ჩვენს შინაურ უარ-მყოფელობაზედ: ღმერთო, შეუნდე, რამეთუ არ იციან, რას იქმან და სწორედ შესანდობარნიც არიან, იმიტომ-რომ არ-ცოდნა არ-ცოდვაა.

## ახალი ამბავი

** გუშინ, 13-ს დეკემბერს, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში მამულები იყო დანიშნული გასასყი-

დად, რადგანაც პატრონებმა მხედრი შესატანი არ შეიტანოს. სულ თექვსმეტი მამული ჩავარდა გასასყიდად. ამათ შორის ქალაქისა იყო შვიდი და ექვსი გაიყიდა, სოფლისა იყო ცხრა და ოთხი გაიყიდა. დანარჩენი მამულები ერთი ქალაქისა და ხუთი სოფლისა გადიდო გასასყიდად ორის კვირის შემდეგისათვის.

⁂ გუშინ, 13-ს დეკემბერს, ხუთის ნახევარზედ შუადღის შემდეგ, ცეცხლი გაჩნდა შადინოვის სახლებში, ფრეილინის ქუჩაზედ, სათავად-აზნაურო ბანკის პირდაპირ. ცეცხლი წაჰკიდებოდა მებელს გენერალ შკურინსკის სადგურში, სადაც იმ ხანად სულ არავინ არა ყოფილა შინ. ბანკიდამ გამოსულმა ხალხმა თვალი მოჰკრა, რომ ფანჯრიდამ ერთი აპრიალებული ალი მოსჩანდა ოთახში და მაშინვე მიესია საშველად. კარი და ფანჯარა დაკეტილი დახვდათ. შეამტვრიეს ფანჯარის მინა და ბანკის მოსამსახურენი შესცვივდნენ ფანჯრიდამ ოთახში, გადმოყარეს გარედ ცეცხლ-წაკიდებული მებელი და ფარდები და ცეცხლი გააქრეს.

⁂ ჩვენ შევიტყვეთ, რომ სამეურნეო საზოგადოების გამოფენის გამგე კომიტეტს პირველი სხდომა ექმნება 14 დეკემბერს. ამ კომიტეტის თავ-მჯდომარედ დანიშნულია სამეურნეო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი კუჩაევი და წევრებად: ტფილისის გუბერნატორი შერვაშიძე, მზრუნველი იანოვსკი, ტიხეევი, შატილოვი, რადლე, შიმანოვსკი, კაზაროვი. ეს სხდომა კომიტეტისა გამოარკვევს მომავალ გამოფენის წესსა და რიგს.

⁂ გუშინ-წინ, 12 დეკემბერს, შტაბში მოხდა სხდომა გეოგრაფიულ საზოგადოებისა პატივ-საცემლად განსვენებულის მოგზაურის პრჟევალსკისა. სხდომამ მოიწვია დიდ-ძალი ხალხი და თვით მთავარ-მართებელი დონდუკოვ-კორსაკოვიც იქა ბრძანდებოდა. ვრცელი მოხსენება შესახებ ამ მოუღალავის მოგზაურისა წაიკითხა გენერალმა ზელენოიმ. ამ მოხსენებიდამ სჩანს, რომ პრჟევალსკი ყოფილა სმოლენსკის გუბერნიიდამ; იგი დაბადებულა 1839 წ. 1859 წელს კურსი შეუსრულებია სამხედრო სასწავლებელში. 1861 წ. შესულა უმაღლეს სამხედრო აკადემიაში და 1863 წ. შეუსრულებია. შემდეგ ამისა დაუნიშნავთ ვარშავის გიმნაზიის გეოგრაფიის მასწავლებლად. ყმაწვილობიდგანვე პრჟევალსკი დიდი მოყვარული იყო მოგზაურობისა, ტყისა და ველისა. 12 წლიდგანვე დაიწყო ნადირობა. უყვარდა თურმე გეოგრაფიულ წიგნებისა და მოგზაურობის კითხვა-შესწავლა. ამის შედეგი ის იყო, რომ პრჟევალსკიმ დაანება თავი ყველაფერს და აზიის შუაგულ ქვეყნების გამოსაკვლევ-გამოსაძიებლად წავიდა. 1870 წ. გამოსცა მან უსსურიის მხრის გეოგრაფიისა, ეთნოგრაფიისა და ზოოლოგია-ბოტანიკის აღწერა. სულ ოთხჯერ მოიმოგზაურა შუა-გული აზია პრჟევალსკიმ. მას უხვად ეხმარებოდა მთავრობა და პეტერბურგის გეოგრაფიული საზოგადოება. აძლევდნენ დიდ-ძალ და ფულს და იმის ნაშრომთაც თვით ჰბეჭდავდნენ. ოთხის მოგზაურობით მან გამოიკვლია 120,000 ვერსის სივრცე ქვეყნები აზიისა და გაიარა სულ 30,000 ვერსი. მას დიდი დაბრკოლება ელობებოდა გზაზედ. ხშირად ეცემოდნენ ყაჩაღები, თვით ხალხიც და ადგილობრივი მთავრობანიც მტრულის თვალით უყურებდნენ, არ აძლევდნენ საჭმელსა და სხვ. მაგრამ მან სძლია ყველა დაბრკოლებათა და შეასრულა განზრახული საქმე. იგი გარდაიცვალა შუაგულს აზიაში და მისის ანდერძისავე მიხედვით დამარხულ იქმნა იქვე, ტბის ისი-ყულის ნაპირზედ.

დასასრულ ერთმა სხვა წევრმა საზოგადოებისამ მოკლედ განმარტა მოღვაწეობა წელსვე გარდაცვალებულის ვორონოვისა, რომელიც ერთ დროს იყო საზოგადოების გამოცემათა საქმის მწარმოებლად და აგრეთვე რედაქტორად გაზ. „კავკაზისა" და სამთა საზოგადოების ჟურნალის კრებულისა

⁂ ტფილისის საქალაქო სამკურნალოს დირექტორი აცხადებს: „რადგანაც ქალაქში ყვავილი მძვინვარებს, ამიტომ ყვავილის აცრა შეიძლება ტფილისის საქალაქო სამკურნალოში (განოვის ქუჩაზე) ორშაბათს, ოთხშაბათსა და შაბათს, დილის 10 საათიდგან 12 საათამდე, და ამ სამკურნალოს განყოფილებაში—ველაბარსა და ხარფუხში, სამშაბათობითა და პარასკევობით, დილის ათ საათიდგან 11 საათამდე.

⁂ ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის მასალის საწყობში, რომელიც მტკვარზეა გადამდგარი, ფანჯარა გაუტეხნიათ და საწყობიდგან გაუტანიათ ოც-და-ხუთ გირვანქამდე სკამებისათვის სახმარი საქსოვი ჭილობი. ჯერ-ჯერობით ვერ აღმოუჩენიათ. თუ ეს ქურდობა ვინ ჩაიდინა.

⁂ ახირებული საზოგადოებაა ეს ჩვენის ცხენის რკინის გზის „უსახელო საზოგადოება", რომელსაც გოდორს ქვეშ ამოუფარებია თავი და ჩალადაც არ მიაჩნია ჩივილი და დრტვინვა მცხოვრებთა. ეს ჩივილი იმითი არის გამოწვეული, რომ ამ ჭონჭოხსა, სიცივესა და თოვლში საზოგადოება ღია, საზაფხულო ვაგონებს ატარებს მიხეილის ქუჩაზედ, ისეთს ვაგონებს, რომელიც ტალახით სავსეა, შიგ მჯდომს ზემოდგან თოვლი და წვიმა ესხმის და ქვეშ ვაგონის ბორბლის სახურავებზე და იატაკზე ტანისამოსი ეთხუპნება. თუ „უსახელო საზოგადოება" ამ გარემოებას ყურადღებას არ აქცევს თავისის ჯიბის სასარგებლოდ და საჭიროდ, კარგი იქმნება ჩვენის ქალაქის თვითმმართველებმა მაინც მიაქციონ და ცხენის რკინის გზის პატრონებს დავიწყებული მოვალეობა გაახსენონ.

⁂ **სურამი:** ამ თთვის შვიდსა და რვას აქ დიდი თოვლი მოვიდა; ცხრასა და ათს თბილი, ჟუჟუნა წვიმა მოდიოდა და ამდენი თოვლი ქაფურივით გააქრო. ამ ჟამად თოვა ხელ-ახლა დაიწყო. სურამის საბოქაულოში მორიგის ჯარის შეკრება გათავდა.

⁂ **კახეთი:** კახეთი რომ მიმოიაროთ, ყველგან ერთსა და იმავე საჩივარს გაიგონებთ გლეხებისაგან. გლეხს რომ ჰკითხოთ, რა გაწუხებთ და გასაჭირი რა გაქვსთო, გიპასუხებთ, რომ ჩემი სულთა-მხუთავი და მოსისხლე მტერი ჩარჩები და ვაჭრებიაო; ჩვენი წლიური ნაშრომ-ნაღვაწი მაგათ მიაქვსთო. მართლაც, ჩარჩები და ვაჭრები რაკი შეიტყობენ, რომ გლეხს მოსავალი კარზედა აქვსო, იმ წამსვე კალიასავით მოედებიან სოფლებსა და დაატარებენ დამპალს საქონელს. გარდა ამისა მრავალს ხერხს ჰხმარობენ, რომ სოფლელი მოატყუონ. სოფლის მოხელეები-კი ამ გარემოებას არავითარს ყურადღებას არ ათხოვებენ. სხვათა შორის მედუქნეებსა და ჩარჩებს სწამებენ, რომ ამათ ორ ნაირი საწყაო და საწონი აქვსთო. როცა თითონ ჰყიდიან რასმე, ერთის საწყაოთი, ან საწონით იძლევიან საქონელს, და როცა თითონ ყიდულობენ გლეხებისაგან, მაშინ სულ სხვა საწყაოსა და საწონს ჰხმარობენ. სოფლელებს მრავალჯერ მიუმართავთ საჩივრით ამის შესახებ სოფლის მოხელეებისათვის, მაგრამ ესენი ყურსაც არ იბერტყავენ. სწორედ ამ ჩარჩებსა და მოვაჭრეებზეა ნათქვამი: სოფელი ვენახე უძაღლო, შიგ გაეიარე უჯოხოდ.

⁂ **ბაკურციხე:** საზოგადოდ სოფლელები მოკლებულნი ვართ ცხოველს საქმეს და გონიერსა და საამო გასართობს. ამისი მიზეზი ის-კი არ არის, რომ ცხოვრება არ გვაძლევდეს არც ერთსა და არც მეორეს, არა. საქმე ბევრია, მაგრამ საქმის უნარი-კი არ არის. საამო გასართობიც მოიპოვებოდა, რომ გემოვნება და სურვილი იყოს. ამიტომაც ვეჭვობ, რომ სხვა რომელსამე ქვეყანაში იმდენი უსაქმო კაცი დაწანწალებდეს სოფლებში, რამდენიც ჩვენშია. იგივე ითქმის ბაკურციხის შესახებაც. აქაურმა საზოგადოებამ დროს გასატარებლად აირჩია გზის პირად ერთი მაღლობი მშვენიერი ადგილი, სადაც დილით საღამომდე დროს ატარებდნენ ქალი და ვაჟი, დიდი და პატარა, თუ დროს გატარება ეთქმის დილიდგან საღამომდე უსაქმურობას და ჭორიკანაობას. საქმე იმ ზომამდე მივიდა, რომ ისინიც-კი, ვისაც-კი ცოტაოდენი საქმე ჰქონდა, ამ მოედანზე მოდიოდა სალაყბოდ და მცირე საქმესაც სცდებოდა. ამ გარემოებას ერთმა «ცუდ-ენა» კაცმა ბოლო მოუღო. ამ კაცმა დასწერა ლექსი და სასტიკად გაჰკიცხა ბაკურციხის საზოგადოება, რომელიც ამ ადგილას იკრიბებოდა. ეს ლექსი მთელს სოფელს მოედო ელვასავით და გააკრეს მოედნის მახლობლად. ბაკურციხელებმა ძალა-უნებურად თავი დაანებეს იმ მოედანს, ბევრი ეძიეს ლექსის დამწერი, მაგრამ ვერ აღმოაჩინეს. კიდევ კარგი, რომ ასე მოხდა, თორემ ვაი ბაკურციხელის მელექსეს ბრალი, თუ ეპოვნათ.

---

**შეცდომის გასწორება:** გუშინდელს ე-262 №-ში ფელეტონად დაბეჭდილი ვაჟა-ფშაველას პოემა „ალუდა ქეთელაური" აურევ-დაურევიათ ასოთ-ამწყობთ, ასე რომ გაზეთის პირველ გვერდის მე 5 სვეტის ქვემოდ ათ სტრიქონიდგან „დაჰფამფალებდა თავზედა" მკითხველი უნდა გადავიდეს მეორე გვერდის მე-3 სვეტზედ მე-5 სტრიქონიდგან: „გაუმაძღარი სვავია". როცა ჩაიკითხავს იმავე გვერდის მე-5 სვეტზედ მე-15 სტრიქონს ფელეტონისას „ხევსურთა ახალ-უხლები", მაშინ ისევ პირველ გვერდის მე-5 სვეტს უნდა დაუბრუნდეს და დაიწყოს: „გადაიქციან ტყემლადა". წაკითხულამდე რომ მივა, ახლა ბოლო უნდა ჩაიკითხოს.

◆◆

## წ ე რ ი ლ ი

ბ-ნის ნ. ურბნელის მიმართ.

ნება მიბოძეთ, მოწყალეო ხელმწიფევ, დავიწყო ჩემი პასუხი სტამბის შეცდომის გასწორებით, რომელიც აღმოჩნდა პირველს ჩემს წერილში. სამწუხაროდ „უძღვნეს" მაგივრად აღბეჭდეს „უძღვენით". მერწმუნეთ, რომ ჩემდამო მომართულს „ცილისწამებას" თქვენ არ გაკუთვნებთ, რაიცა აშკარად სჩანდა ჩემის წერილის შემდეგის სტრიქონებიდამ. იმედი მქონდა, მეხსიერება არ გიმტყუნებდათ და მოიგონებდით იმ ორს წერილს, რომელიც გამოგზავნილი იყო მოსკოვიდამ ჩემის რეფერატის შესახებ „მოხევეებზე". მე მოგახსენებდით, რომ თქვენ „გაკვრით" გამოიყენეთ პირველი წერილი, რომელმაც მომაწერა უარ-ყოფა ხევისბერის იურიდიულის კომპეტენციისა და მეორე წერილი-კი, რომელმაც უსამართლო ბრალი ამხადა, ინებეთ დაგევიწყათ. სიმართლე მოითხოვდა ორივე წერილი ერთად მაინც მოგეხსენებინათ...

# ფელეტონი

## ალუდა ქეთელაური

(ხევსურების ცხოვრებიდამ)

(დასასრული*)

### IV

თენდება, მთის წვერნ დაწითდენ,
ნისლნი აგროვდენ მთებზედა.
დგება, ილვიძებს სოფელი,
მგზავრი მიდ-მოდის გზებზედა.
სოენი სამგზავროს წავიდენ,
მთა-ბარს მაავლეს თვალია;
რამდენს ფრაშ-ფრაში არიან,
ცას ვერ გაავლეს კვალია!
ვინ მოდის წითლის ცხენითა,
გამაიარა წყალია?
— მოხვედ მშვიდობით, მინდიას
ხევსურთა შაუძრახნიან.
რა მაიტანე ამბავი,
შორითვე დაუძახიან.
— ახლებო, სისხლი გიფუისთ,
სჭრითა და ჰკრავთ გულითა,
გულს ათრევინებთ გონებას,
თავს აჰრეინებთ ცულითა,
ადვილ ვერ იცნობთ ვაჟკაცსა
მის ვაჟკაცურის სჯულითა!
ერთურთს ნუ დააჩაგრევინებთ,
გული-დ გონება ძმანია.
მართალი არი ალუდა,
თავს არ დამექცნენ ცანია!
თუ არა გჯერათ, ქისტისა
აი მოჭრილი მკლავია.
ენა ქარქაშში გეპიროსთ,
ადვილ ნუ იტყვით სიტყვასა,
ადვილ ნუ იტყვით ვაჟკაცზე
არა ვარგაო იმასა!
ხელი ალუდას მიართვის:
— წაილ, მიაკარ ქავადა!
— თუ ხელის მოჭრა მდომიყო,
გან ვერ მოვსჭრიდი თავადა.
ვერ გიქნავ კარგად მინდიავ,
საქმე მოგირთავ ავადა;
რაად მინდარის, ვერ მიხმლობს,
არ გამოდგება ფარადა,
მთაში წავილო, არ მითიბს,
არც მარგებს თიეის კავადა.
წაილე, თუ გწამ უფალი,
ნულარ მაჩვენებ თვალითა.
კაის ყმის მარჯვენა არი,
გული მეწვება ბრალითა.
რაად სწყრებიან ხევსურნი,
რადა ტყვრებიან ჯავრითა?!
მტერს მოვკლავ, კიდევ არ მოვსჭრი
მარჯვენას მაგათ ჯაბრითა!
წესი არ არის მტრის მოკვლა,
თუ ხელ არ მასჭერ დანითა.
ვაი ეგვთას სამართალს,
მონათლულს ცოდვა-ბრალითა!

### V

ჟამი მოვიდა საუფლო,
ხალხი ხატობას დიოდა;
უნდა აცნობონ ბატონსა,
ვისაც-კი რამა სტკიოდა.
მოქუჩდა ქალი და კაცი
სახვეწრით—ცხვრით და ხარითა;
მიართმევდიან ბატონსა
სახვეწარს ბელღის კარითა.
ეს ვინღა მოდგა ნისლივით,
თითბრით ნაზიკის ხმალითა?
ხევის ბერს აძლევს მოზვერსა,
დადგა დახრილის თავითა.
—ვის ამწყალობნებ, ალუდავ,
ამა კურატით შავითა?
ჰკითხავს ალუდას ხუცესი
გადაწეულის მკლავითა,
დიდია ჩვენი ბატონი —
გუდანის ჯვარი თავითა,
საყმონიც ძლიერნი ჰყვანან
ღვთითა და ღვთისა ძალითა,
კარგი ყმა უყვარს ბატონსა,
წყალობა ემეტებისა;
ვაჟკაცნი იმედიანნი
ჩვენს ბატონს ებედებისა
მითხარ სახელი, ვის სწირავ,
იმასამც შაეწირება.
ხანჯარს აიძრობს, დიდების
სათქმელად დაეღირება
—ეგ სამხვეწროა, ბერდიავ,
ძოღან მოკლულის ქისტისა.
მუცალს ეტყოდენ სახელად,
მაუნათლავის შვილისა.
კარგადაც დამიწყალობნე,
გამიმეტებავ მისთვინა,
როგორც უნდომლად მოკლულის
თავის ლამაზის ძმისთვინა.
—გაურჯულებულს არჯულებ,
შენ ეგ არ შაგიხდებისა,
ქისტისად საკლავის დაკვლა
კარგად არ მოგიხდებისა.
მამით არ მოდის ანდერძი,
პაპითა-დ პაპის-პაპითა,
გონთ მოდი, ქრისტიანი ხარ,
ურჯულოვდები მაგითა;
ეშმაკს ნუ მისდევ... ეგ სიტყვა
როგორ ამოგცდა ბაგითა!?
რამდენ სხვა მაჰკალ, შენს ქავზე
ხელებ ჯორდესავით ჰკიდია,
ზოგი ლეკისა, სხვა ქისტის
მარჯვენეების ხიდია.
ციკანიც არვის დაუკალ,
განდამც კურატი დიდია.
როგორ ვახვეწო უფალსა
ძაღლი ძაღლების ჯიშისა,
მანამ სჯობ ცანი დამექცნენ,
ზურგი გამისკდეს მიწისა,
ან თუ ზღვამ დამთქას უძირომ,
სადილი ვსჭამო ქვიშისა.
ფერი ედება ბერდიას
ფერი სხვა რიგის შიშისა.
— ზღვენსა ნუ გამიმსუმბუქებ,
მადლი თუ გწყალობს ღვთისაო,
ყმა ვარ მეც გუდანის ჯვრისა,
ხევსური თქვენის წყლისაო,
მითომ ერთნი ვართ, ბერდიავ,
მცხოვრებნი ერთის მთისაო.
— ტყუილად სცდები, ალუდავ,
ტყუილად იცვეთ პირსაო.
გაჯავრდა ქეთელაური,
ფერი დაიდვა მგლისაო;
ხელი გაიკრა ფრანგულსა,
შუქი ამოხდა მზისაო.
უქნივა მოზვერს ქედზედა,
თავი მიგორავს ძირსაო.
თან შაეხვეწა ბატონსა,

---

*) იხ. „ივერია" № 262.

თქვენს საპასუხო წერილში უფრო მტკიცე საბუთებით (?) ალიჭურვეთ, რათა კელა ზურაბაშვილის მიერ ნაამბობის სიყალბე დაამტკიცოთ. გულახდილად მოგახსენებთ, რომ ვერ მიმხვდარვარ, რათ ამოითვალწუნეთ ასე შეუწყალებლად უბედური კელა და იმისი ნათქვამი არას გზით არა გსურთ იცნათ საერო გადმონაცემად! თქვენ რომ გეამბნათ ჩემთვის „ბახტრიონის აღება“, შემეძლო არ დამეჯერა, ანუ მკრთალი ეჭვი მაინც შემეტანა იმის სინამდვილეში, მაგრამ კელამ, თქვენთვის „ვიღაც“ უცნობმა და «უვიცმა» თუშმა მიამბო ბახტრიონის ამბავი სხვა თუშთა თანდასწრებით, რომელთაც დამისახელეს იგი «ჭკვათა მყოფელად», საუკეთესო მცოდნე კაცად საერო გადმონაცემთა. აქვე უნდა დავუმატო, რომ კელას აწერთ მეტს ბრალს, ვიდრე დაუმსახურია: თორღვა და ზეზვა იმან-კი არ აურია ერთმანეთში, არამედ მეორე თუშმა, ბაბო თურქოძემ, რომელმაც ზეზვას თავ-გადასავალი ლექსად ჩამაწერინა. ფრიად საჭიროა, რომ ერთმანეთის ნათქვამი დავიხსომოთ, თორემ წყლის ნაყვა გამოვა. «ივერიის» მე-220 ნომერში მოხსენებულია, რომ პროზად ზეზვას ამბავი მიამბო თქვენ მიერ გათახსირებულმა ზურაბაშვილმა და ლექსად—თურქოძემ. აქაც ამჯობინეთ დაგევიწყათ ეს შენიშვნა; თორღვასა და ზეზვას არევა უმიზეზოდ მიაწერეთ კულას, რომ მისდამი რწმენა გაბათილოთ. იმედი გვექნება, რომ ამ ბრალს, უსამართლოდ დადებულს კელაზე, მოხდით და გადაიტანთ თურქოძეზე.

ორიოდე სიტყვა კიდევ კელას დასაცველადა. არ გვაძლევს საბუთს თუშური „ბახტრიონის აღება“ ვიცნათ მის გამოგონილ ამბად ის გარემოება, რომ კულას ნაამბობი ისტორიულს კალაპოტში არ თავსდება. საერო გადმონაცემში, მოწყალეო ხელმწიფევ, არ შეგვიძლიან ვეძიოთ უთუოდ ისტორიული ფაქტი. საერო გადმონაცემი საინტერესოა არა მხოლოდ ისტორიულის მხრით, არამედ ერის მოსაზრებითაც ბუნებაზე, ზნეობაზე, როგორც დარჩენილია თუშურ ბახტრიონის აღების ამბავში. არ უნდა შეგვაშინოს ფშავურმა ზეზვას ამბავმა, ჩავწეროთ თუშეთში გაგონილი ბახტრიონის აღება, როგორც ილია მურომელის ამბავს, სხვა-და-სხვა ვარიანტად დარჩენილს, სწერენ სამხრეთსა და ჩრდილოეთს რუსეთში.

იქნება ამიტომ შეიტანეთ განუსაზღვრელი ეჭვი კელას ნაამბობზე, რომ იგი გაგონილი და ჩაწერილია ალვანში? ალვანი სხვა თუშთა თემებზე უფრო ახლოა ბახტრიონზე და, მაშასადამე, უკეთესად დაახსომდებოდათ ამ ციხის ამბავი იმის მეზობლებს. გარდა ამისა გზის სიშორეზე როდია დამოკიდებული საერო გადმონაცემის სინამდვილით დაცვა. ასე რომ იყოს, კიევთან ჩაწერილი ვლადიმირის ამბავი ნამდვილ საერო გადმონაცემად არ უნდა ცნობილიყო და იმის ჩაწერის მსურველი არხანგელსკში უნდა წასულიყო. დამეთანხმეთ, რომ კიევის ბატონის ამბავი კიევთან მცხოვრებლებს არხანგელსკელებზე ნაკლებად არ დაახსომდებოდათ და იქ წასვლა უსარგებლო ჯაფა და დროს დაკარგვა იქნებოდა.

თქვენს აზრს, რომ ალვანმა ალბანიიდამ მიიღო სახელ-წოდებაო, მტკიცედ ადგეხართ და მაგრად ეჭიდებით. გვაუწყებთ, რომ სტრაბონი ალვანის გაღმა მხარს ალბანიად უწოდებდაო, რომ „ჩვენი კათალიკოზები თავიანთ ტიტლოში ალვანსაც იხსენიებდნენ“. ეს ძალიან სარწმუნო ფაქტებია, მაგრამ ჩვეულებრივს ლოგიკას არ შეუძლიან დაასკვნას აქედგან, რომ ალვანმა ალბანიიდამ მიიღო სახელი. გინდათ ალბანაპოლისი ალვანს დაუნათესაოთ. გეოგრაფიულმა მდებარეობამ ალბანოპოლისისამ კიდევ შეგიყვანათ შეცდომაში. მართალია, კლავდი პტოლომეი იხსენიებს ქალაქს ალბანის, მაგრამ, მისის ცნობით, იგი ქალაქი მდებარეობდა კასპიის ზღვის პირად და, მაშასადამე, ჩვენს ალვანზე საკმარისად მოშორებული ყოფილა. თქვენ გატყუებთ ალვანისა და ალბანის დაახლოვებული გამოთქმა. ალბანი—ალვანი (ბ—ვ), მაგრამ ამ გზით ხომ ჩვენი „ივერია“ და პირინეის ნახევარს კუნძულზე მდებარე „იბერია“ ერთ და იგივე მხარედ უნდა ვაღიაროთ. ასე ხომ Этрусски-ს Это русскій-დგან ხსნიდა მოსკოვის პროფესორი. არა, მოწყალეო ხელმწიფევ, ლინგვისტიკა მეტს სიფრთხილეს თხოულობს, ვიდრე თქვენ ჰფიქრობთ.

ა. ხახანაშვილი

◆◆

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. დგვრისი** (ქართლი), 5 დეკემბერი. დიდი ხანი არ არის, რაც ქართლში ვარ. მომწონს ეს ქვეყანაო დაწინავებული ქვეყანაა საქართველოში, როგორც სწავლა-განათლებით, ზნეობით, ყოფა-ქცევით, აგრეთვე პურადობით, სტუმართ-მოყვარეობითა და ყველა სათნო ღვთისა და კაცთა მოსაწონის მოქმედებით, მაგრამ ერთი ქართული ანდაზა სწორედ ამ ქვეყანაზეა ზედ-გამოჭრილი: „ფონი ძრიელ კარგია, მაგრამ ერთს ალაგს არჩობსო“. ზემო თქმულის სიკეთით ალვსილს ერს ერთი ფრიად შესანიშნავი და თავიდგან აუცილებელი დალი ასვია და ამისი მოშორება, ვგონებ, არც ადვილად შესაძლებელია. მე მოგახსენებთ ქართლში მეტად გავრცელებულს ცრუ-მორწმუნოებაზედ.

დროთა ბრუნვას, ჟამთა ვითარებას ამ დარბაისელსა და მართებულს ერში გაუჩენია მძვინვარე სენი ცრუ-მორწმუნოებისა და დღევანდლამდის არ ისპობა; პირ-იქით, ღრმად გაუდგამს ფესვები, აღორძინებულა და გამრავლებულა და ერთ-პირად მოდებულია მთელს ქართლში. მოგახსენებთ დასამტკიცებლად ამისას შემდეგს:

სოფ. დგვრისში ერთი 90 წლის მოხუცი დედაკაცი იყო, ფრიად განთქმული და დახელოვნებული მკითხაობაში. წარმოიდგინეთ, ამის კარზედ დღეში სამოცამდე და ზოგჯერ მეტიც სამკითხაო ხალხი არ ილეოდა; როგორც სასწაულთ-მომქმედი ეკკლესია, ისე იზიდავდა ხალხს. მკითხავს ჰქონდა ჩვეულებადა და წესად, რომ უჯეროდ არავის უკითხავდა და ამ გვარის ჯერის ცდაში ზოგი ოთხსა და ხუთს დღემდის იდგა მკითხავის კარზედ და ათევდა ღამეს-ღამეზე...

ქართლში სრულიად არ დაეძებენ ექიმს, მკურნალსა და, თუ სწამთ, ისევ ჯარა-ექიმები სწამთ, დოსტაქარი, ანუ, როგორც ამბობენ, ხირურგები. სხვა ავადმყოფობაში-კი ექიმს არ ენდობიან. ავად გაუხდებათ ვინმე თუ არა, ქართლელი მაშინვე გაემგზავრება მკითხავისაკენ და მიუტანს წმინდა სანთლებსა და ორ-აბაზს სამკითხაოს. ავადმყოფს მიზეზი გამოუვა ხატისა და ეხლა ხატში გარბის, რომ ხატი შეიჯეროს და გული მოუგოს ცხვრისა და კურატის შეწირვით. ხშირად ცალ-ულელი ხარი ჰყოლია გლეხს და ისიც ხატისათვის შეუწირავს ავადმყოფის მოსარჩენად.

დგვრისელი მკითხავი გაესტუმრეთ საიქიოს და ეხლა ვიღაც ტფილელი მაწანწალა თათარი დაიარება სოფლებში. გიჟების მორჩენას სჩემობს. გიჟებს-კი ვერ არჩენს და ხალხს-კი ცარცვენის. დგვრისში ერთი შეშმიში ავადმყოფია. ხსენებული თათარი შეურიგდა 100 მანეთად და დაჰპირდა, მოგარჩენო. ექვსი კვირა სწამლა, 50 მანეთი ასწაპნა და გაქუსლა ტფილისისაკენ. ავადმყოფი დღესაც ისეა, როგორც იყო.

ამ გვარს სტუმრებს, ღვთისა და ბატონის წყალობით, ჯერ-ჯერობით არა'ვართ მოკლებულნი. ეს მეორე კვირა იქნება, რაც ერთი ვიღაც ქალბატონი მობრძანებულა ფრონის ხეობის სოფ. წუღში. მკითხაობაში და ექიმობაში ძრიელ არის დახელოვნებული. ამბობენ, რომ აუარებელი ხალხი მიაწყდა ამ ახალს ოსტატს: თავადი (?), აზნაური (?), სამღვდელონი (sic!) და საერონიო.

ამ გვარს შემთხვევაში ვალდებულია ადგილობრივი მთავრობა სასტიკის ყურადღების მიქცევით მაწანწალა და ცრუ მკითხავ-ექიმებს სოფლებში ფეხი ამოაკვეთინოს და არ აცრცვევინოს უმისოდაც გაცრცვილი და ტყავ-გამძვრალი ხალხი, რომ ეგებ როგორმე ესე ვითარის საშუალებით ფესვებიანად აღმოიფხვრეს და სამუდამოდ მოისპოს ჩვენს მდაბიო ძმათა შორის ძვალსა და რბილში გამჯდარი მძვინვარე სენი ცრუ-მორწმუნეობისა.

ციხის-თვიანელი

◆◆

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** გაზეთების სიტყვით, პარიჟის საზოგადოება დიდად აულაპარაკებია ერთს ახალს პიესას ბ-ნის ენნიკისას. ბევრს მოსწონებია პიესა, მოსწონებია უფრო იმიტომ-რომ კარგად თურმე ააშენებული, ნართივით ირთვის და იხსნება პიესის კვანძი სულ სამს მოქმედებაში. ლაპარაკი შიგ ისეთია, რომ ერთი სიტყვა არც მეტია, არც ნაკლები, ასე გგონიათ ბრინჯაოსაგან არის ჩამოსხმულიო. შინაარსი-კი პიესისა დიდის რევოლიუციის წინაამღდეგია და ამიტომ არ მოსწონებიათ ზოგიერთს ფრანგებს. რესპუბლიკის თეატრებს არც-კი მიუღიათ ეს პიესა, რომელიც მხოლოდ ესრედ წოდებულს „თავისუფალს თეატრს“ წარმოუდგენია. საზოგადოდ ამ თეატრს საგნად აქვს რაიმე საპოლიტიკო მოსაზრებისა, ან ცრუ-მორწმუნოებისა გამო დაწუნებული პიესა თავისის მფარველობის ქვეშ მიიღოს, შეიწყნაროს და შეივრდომოს თავისს სცენაზე. შინაარსი პიესისა ისტორიულია და ფრიად დრამატიული. მოქმედება ამ საუკუნის დამდეგს სწარმოებს, როცა რევოლიუციის ნაშობი ნაპოლეონ I ფრთებს ისხამს და ძლიერდება, ხოლო ჰერცოგები, მარკიზები და გრაფები განდევნილნი არიან. პირველ მოქმედებაში ორი გენერალი იცდის სადღაც ცივს ყაზარმებში დიდის წვიმისა და ძანძახის დროს და ელის ბრძანებას. ბრძანების მოსვლამდე ამათის ლაპარაკიდამ მსმენელი მიხვდება, რა ყოფაშია საფრანგეთი იმ დროს. მალე ბრძანებაც მოვა, რომ გენერლები წავიდნენ და შეიპყრან ჰერცოგი ენგიენისა, რომელიც საფრანგეთის საზღვარს გასცილებია და იქა სცხოვრობს. მეორე მოქმედებაში ვხედავთ ჰერცოგს, ახალგაზრდას, რაინდის ხასიათებისას, დიდს მტერსა და მასთანავე თაყვანის-მცემელს ნაპოლეონისას. აქ იხატება ხასიათი საზოგადოდ მაშინდელის დევნილებისა, ვხედავთ, რა იმედები აქვსთ ამ დევნილთ, რა აზრითა და გრძნობით შესცქერიან რევოლიუციას და იმის შემდეგ დამყარებულს წეს-წყობილებას. ამ ჰერცოგს უყვარს ახალგაზრდა ქალი და ჩუმად ჯვარიც დაუწერია. საცოდავი ებრძვის ისეთ საშინელს კაცს, როგორიც არის ნაპოლეონი, და არ-კი იცის, რა ულმერთო კაცია ის ნაპოლეონი, რომელიც ერთსა და იმავე დროს

---

ნუ შამიცოდებ შვილსაო,
ალლადა ჰქონდეს მუცასა,
მაგ მოუნათლავ გმირსაო.
ბერდია ჯაგარ-აშლილი
ხალხისკე იზამს პირსაო.
— გაგონილაა, იძახდა,
ასრე აგდება რჯულისა:
საკლავს თვითონ ჰკლავს ალუდა,
მამხსენე ქისტის სულისა.
ხალხო, მინდარის გაიგო
პასუხი თქვენის გულისა.
დაჯარდით, ხევსურ შვილებო,
ყველანი—დიდნი, მცირენი,
სამართალი ვქნათ, ვუმტრიოთ
ალუდას სახლის დირენი,
ნუ დაინანებთ, ექმნენით
ცოლ-შვილის ამამტირენი.
მოკვეთილ იყოს სხვა ქვეყნის
ცა-ღურბლის შანამზირები.
წადით, უმტვრიეთ შავ-ბნელსა
სახლისა, ციხის კარები.
ცეცხლი მიეცით საძნოვარს,
ცასა სწვდებოდეს ალები,
სათემოდ გამოირეკოთ
ცხვარი, ძროხა და ხარები.
შატილს ცოლ-შვილი უტირეთ,
უდანს შინშია და ქალები;
არისხამდეს ჩვენი ბატონი,
არ არის შასაბრალები.
ამის გამგონე მინდიას
მაუწყლიანდის თვალები,
ველარასა ჰშველს ალუდას,
გულზე გადიწყვის კლავები.
შასმულებმ ხევსურთ შვილებმა
გაიმარჯვიან ფარები,
უნდა სცან ქეთელაურსა,
კაპასად ქღერენ რვალები.
ჯარად 'დამსხდართა ხევსურთა
თავზე წაადგა ბალღები,
ერთს ხელში დაუჭერია
მარჯვენის ნახრავ ძვალები.
— ვაჟნო, ვინდომებ თქვენთვისა
წყალობას ბატონისასა,
საკარგყმო დამალეინეთ
მოგიტანთ ხელსა მტრისასა.
ყორანს მიჰქონდა ბრჯალითა,
ყურეს უმარჯვდა კლდისასა.
იმ დროსა ვსტყორცე ისარი
ლაღად მიმავალს ცისასა,
მართალ გამოდგა ნასროვი,
ყორანს უვლიდა ფრთისასა;
კლანჭით გაუშვა ნადავლი,
გადმეესრია მიწასა.
—მუცალის მარჯვენა არი,
მიზეზი ხევსურთ რჩევისა,—
წყრომით იტყოდა მინდია:—
მიზეზი იმათ წყევისა;
მე მიუტანე ალუდას,
ფერი დაეადევ წყენისა,
რო არ მიიღო ალუდამ,
სიღრმე ვაჩვენე ხევისა.
—წაიღეთ, ამბობს ბერდია:
ტოტი ურჯულოს, ძაღლისა,
არა ვართ ხევსურთ შვილები
ყმანი ეშმაკის, ალისა.
ძაღლს მიუგდიან საჭმელად
ხელი მუცალის მკლავისა.
პირი არ ახლო ქოფაკმა,
მორთო ღმუილი ბრალისა.
ხევისბერ იტყვის ბერდია:
—ხევსურნო, ნახეთ თვალითა;
ძაღლი ძაღლის ქვალს არ სტეხსო,
თქმულია იმავ თავითა.
ქისტის მარჯვენას ბალღები
დაბლა ათრევენ კავითა.

VI

თოვლი სთოვს, ქარი ბობოქრობს,
ყელებ შაკრულა მთებისა.
ჩამოდის ხევად ზოვები,
ჩამონასხლეტნი კლდეებისა.
გაუბამ ყინულს ლურჯადა
უბე-კალთები წყლებისა,
მიუნაქრია ერთიან
ვიწრო სავალი გზებისა.
ვის მასწყენია სიცოცხლე,
გზას ის ვინ გაუდგებისა?!
წინ მიდის მგზავრი, მიჰკვალავს,
ხუთიც უკვენა ჰყვებისა.
სიმშილით შაწუხებული
მთას ღმუის ჯოგი მგლებისა.
„კარგს ნურას ჰნახავთ, ხევსურნო“,
ერთი დიაცი სწყრებისა.
„ვაჰმე, ჩვენო სახ-კარო,
ქვა-ქვაზე აღარ დგებაო,
ციხეზე, ჰერხოს ბოძებზე
ეხლა ყოვები სხდებაო“.
დედა ეტყოდა ალუდას:
—შვილო, იარე ნელაო,
შენთან ვერ გავძლებთ, ვერც მენა,
ვერც შენი ცოლი ლელაო.
ბალღები აგვიბოქირდა,
ხელ-ფეხ დაგვიზრა ძნელაო.
ვაჰმე, რა უგზოდ დავდივართ,
ვაჰმე, როგორა ბნელაო!
ნეტავ არ დასჭირ დებაა
ხევსურთა შენი შველაო?!
ვის რა წყალ-ჭალა გვისტუმრებს
სადრარა დაეილევითა,
უბინო, უსახ-კარონი
სხვაკანაც დავიწყევითა.
ველარ მიუვალთ ჩვენს სახ-კარს
გაღმა შატილის ხევითა.
თავის მიწა-წყლის გაწირვა
ძნელი ყოფილა მეტადა,
მამაკვდავს დავფერებივარ,
გონი გამხდია რეტადა.
მუხლებ არ მამდევს, გულშია
ბნელი ჩამიდგა სვეტადა.
ვაჰ, მამა-პაპის საფლავნო,
კლდენო 'დამდგარნო მწვეტადა!
ჯავრობით ეტყვის ალუდა:
— დიაცნო, ნუ ხართ ყბედადა,
მოდით, მამყევით, ვიდინოთ,
ღმერთმ ეს გვარგუნა ბედადა,
ჯვარს არ აწყინოთ, თემს ნუ სწყევთ,
ნუ გადიქცევით ცეტადა!
ერთხელ მაუნდა ალუდას,
ერთხელ მობრუნვა თავისა:
„მშვიდობით, საჯიხვეებო,
გამახარელნო თვალისა,
მშვიდობით ჩემო სახ-კარო,
გულში ამშლელო ბრალისა,
მშვიდობით, ჩვენო ბატონო,
ყმათად მიმცემო ძალისა“.
გაწირეს მგზავრთა სამუდმოდ
წყალი და მიწა თავისა.
შტერად დამდგარან მთის წვერნი,
ისმის ხვივილი ქარისა.
გადვიდნენ, ქედი გადაველს,
თხრილი აღარ ჩანს კვალისა.
ერთი მაისმა შორითა
მწარე ქვითინი ქალისა.

ვაჟა-ფშაველა

უყვარს კიდეცა და რომელსაც ემტერება კიდეცა. ერთის სიტყვით, ახალგაზდა ჰერცოგი სრულიად ყმაწვილია, გამოუცდელი, გულ-წრფელი. როცა გენერლები მოდიან ღამით, ქურდულად და აპატიმრებენ უცხო ქვეყანაში, ჰერცოგს გული მოსდის ასეთის უმართებულობისა გამო. ყველა იმ საშინელებასა და სისხლის ღვრის შემდეგ რაც მოხდა საფრანგეთში, ჰერცოგს სჯერა მაინც, რომ ჩვენს ქვეყანაში კანონები არსებობსო, სწამს, რომ ნაპოლეონი უკანონოდ არაფის არ მოექცევაო. ის-კი არა თუ იმისი სიკვდილით დასჯა უკვე გადაწყვეტილია. ჰერცოგი მაშინაც ვერ მიხვედრილა ამას, როცა გაჩქარებით მოჰყავთ რამდენიმე დღე და ღამის სიარულს შემდეგ და წარუდგენენ სამხედრო სასამართლოს კომისიას. იმას ჰგონია, რომ ნაპოლეონს ენახავ, აეუხსნი ყველაფერს და გათავდება საქმეო. ის-კი არა თუ სასამართლოში არც მოწმეებსა კითხულობენ, არც დამცველია სადმე. ჰერცოგი მაინც დარწმუნებულია, რომ ქვეყანაზე სამართალიაო, ჰკიცხავს რევოლიუციას მსასამართლეთა წინაშე და ეკამათება ბრამლდებელთა და, როცა მოსამართლენი გადიან განაჩენის დასადგენად, გულ-უბრყვილო ყმაწვილივით მიეძინება იქვე დაღლილსა და დაქანცულს. პატარა ხანს უკან აღვიძებენ და მიჰყავთ დასასჯელად. ეს სცენა საშინელი სცენაა. გგონიათ ჰკლენ მცირე-წლოვანს ყმაწვილს, რომელიც თავისს ჯალათებს ეალერსება და შესტიტინებსო. ამავე მოქმედებაში არის ფრიად გულ-საკლავი სცენა ჰერცოგსა და მის ცოლს შორის. არც ერთმა არ იცის, რა ამბავია მათს თავს. ჰერცოგი სცდილობს დაუმალოს ცოლს, რომ ის დარბაზი, საცა ისინი არიან, სამსჯავრო არ არის. მაგრამ ქალის გული რაღაც უბედურებას ჰგრძნობს, ჰხედას თითქო, რომ დიდი საშინელება უნდა მოხდეს. როცა ჰერცოგს გაიყვანენ გარედ დასახვრეტად, მისი ცოლი გამოვარდება სცენაზე, რომ ერთხელ კიდევ დაინახოს ის ადგილი, საცა უკანასკნელად ჰნახა თავისი საყვარელი ქმარი. ამ დროს ისმის თოფ-იარაღის ჩხარა-ჩხური და ჰერცოგის გაურკვეველი სიტყვები ჯარის-კაცთა მიმართ. ამ დროს აფიცერი უბრძანებს ჯარის-კაცებს, მოამზადეთ თოფებიო. ჰერცოგის ცოლი ჰკივის გულის გამგმირავის კივილით და მიირბენს ფანჯარასთან.—გაუმარჯოს მეფესაო!—იძახის უკანასკნელად ჰერცოგი, მაგრამ ამ წუთს ისმის გრიალი თოფებისა და ხმა უწყდება საცოდავს ყმაწვილს კაცს.

აი ასეთია ის პიესა, რომლის უკეთესი არ დაწერილა ამ ზამთარს საფრანგეთში, მაგრამ რომელიც ბევრს არ მოეწონა მხოლოდ იმიტომ, რომ მეფობისა და მის მომხრეთა თანაგრძნობა გამოდის პიესითაო, თუმცა ავტორს სრულიად სახეში არავითარი საპოლიტიკო აზრი არა ჰქონია და ისტორიულის სინამდვილით და პოეტურის ხელოვნებით გაუტარებია მსმენელთა თვალ-წინ ნამდვილი ისტორიული ამბავი, სწორედ ისე, როგორც მოჰხდარა და როგორც თვით ისტორიაშია ჩაწერილიო.

◆

## წვრილი ამბები

ჩვენ ამას წინად ნათქვამი გვქონდა, რომ მუხასში კიდაც ქ-ნს გირშს ექვსი ყმაწვილი ეყოლა ერთადაო. აი ამ ამბის კიდევ რამდენიმე წვლილი. ყმაწვილები ძალიან ჯან-საღად არიან თურმე და მშვენიერი აგებულებაცა აქვსთ. პირველი ოთხი დაბადებულა 12 წუთის განმავლობაში, ხოლო დანარჩენი ორი ერთს საათს შემდეგ. დედა 27 წლის დედაკაცია და ამ ექვსს შვილს გარდა სამიც კიდევ სხვა ჰყავს. ეს ახალგაზდა ქალი მეტად ჯან საღია თურმე, რაც იმითიცა მტკიცდება, რომ ექსივე ბავშვი უბიოდ უშობნია და შობის მეორე დღესვე სახლის საქმეებისათვის მიუყვია ხელი და უმუშავნია. გირში გერმანელი ქალია, ბავარიაში დაბადებული. ახლად დაბადებულებში ძუძუს მხოლოდ ორს აწოვებს თურმე, დანარჩენებს კოტოშით ასაზრდოვებს. რომ შვილების სახელები არ ერიოს, ყველა ყმაწვილისათვის ყელზე დაუკიდნია პაწია ბარათები, რომელზედაც სახელებია აღნიშნული.

— სპარსელები მეტად უკმაყოფილონი არიან თურმე იმითი, რომ რკინის გზა გაიყვანეს ამ ქვეყანაში და ამბობენ, რომ ეს გზა ტარტაროზის ნამოქმედარიაო. ეს უკმაყოფილება განსაკუთრებით ამას წინად გამოუცხადებიათ იმ მიზეზით, რომ მატარებელს უცაბედად მთელი ბრბო ხალხისა მოუყოლებია ქვეშ, რომელნიც სალოცავად მიდიოდნენ მახლობელს ქალაქში. გამძვინვარებულს მნახველებს დაუხოციათ მატარებელზე მოსამსახურე ხალხი და ვაგონები დაუმსხვრევიათ.

— ბულანჟეს მომხრეები ძალიან თავგამოდებულად ჰმოქმედებენ. ამ დღეებში, მაგალითებრ, პარიჟის ბულვრებზე უტარებიათ მეტად საცინელი თოჯჯა. თოჯჯად გამოუყვანიათ ფლოკე დარაჯის მუნდირით და საყელოზე აწერია: «№ 13 და X განყოფილება პოლიციისა». ფეხთით უგდია თავისი უშველებელი და ძველის-ძველი შლიაპა, ხოლო ხელში უჭირავს კეტი. ყველა ამ კეტის მოქნევაზე რაღაც მანქანით ბულანჟე ამოხტება სოლმე შლიაპიდამ და წინ აეტუზება ფლოკეს. ეს სათამაშო დიდ-ძალი იყიდებოდა, ხოლო სადამოზედ შინაგან საქმეთა მინისტრმა განკარგულება მისცა აღეკრძალათ და ვაჭრებს სულ წაართვეს თურმე.

— საფრანგეთის ზოგიერთ გაზეთების სიტყვით, გენერალს ბულანჟეს დაუარსებია ახალი ორდენი, „ორდენი ცოცხისა“, რომლის ნიშნებიც ყველა იმისმა მომხრემ უნდა ატაროს. ბულანჟეს შეუკვეთნია ერთის მილიონის გაკეთება ამ ორდენებისა და უნდა თავისს მომხრეებს დაურიგოს. ორდენის ნიშანი პაწია თითბრის ცოცხია, მეტად მშვენივრად გაკეთებული, და სერთუკის კილოში უნდა ატარონ.

— აი როგორი პოლემიკა იციან თურმე ისპანიის გაზეთებმა. ეს გაზეთები საოცარი თავაზიანობით იხსენიებენ ერთი-ერთმანეთს თურმე და მეტად ზრდილობიანი სიტყვა-პასუხის ხმარება იციან. მაგალითებრ, ხშირად ერთი გაზეთი სწერს მეორეზედ: „ჩვენმა პატივცემულმა ამხანაგმა კვლავ უსინდისოდ იცრუა. საკვირველია, რომ ამ გაზეთის ბრძენსა და მოსაწონს გამომცემელს თავისისავე სიტყვებისა როგორ არ შერცხვა“. თუ საქმე შეეხება რომელსამე მაღალ-წარჩინებულ სახელმწიფო კაცს, სამსახურიდგან ურიგოდ ქცევის გამო დათხოვნილს, მაშინ გაზეთი სწერს: „საუკეთესო უფროსმა დეპარტამენტისამ დონ ფუენტომ, რომელიც დიდის ცოდნითა და ჭკუით განაგებდა დიდხანს კარტაგენის ვერცხლის მადნების საქმეს, დიდ-ძალი ფული მოიპარა და ჩაჯიბაო“. როცა ვისმე უნდათ აწყენინონ, ისპანიის გაზეთები ლანძღვას სასიამოვნო სიტყვებით ჰღებავენ და ჰფერვენ თურმე. აი, მაგალითებრ, რასა სწერს „Palmera di Cadiz“-ი ერთის განთქმულის ავაზაკის დასჯის შესახებ: „ჩვენი გამოჩენილი თანამოქალაქე დონ-ენრიკო-პინო, რომლის ოჯახი ჩვენის ქალაქის ერთ უპატივცემულეს ოჯახთაგანს ეკუთვნის, დღეს იქმნება ჩამოხრჩობილ ჩვენის კისკასისა და ხელოვანის ჯალათის მიერ. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ გმირი მცხოვრები კადიქსისა თავისს ღირსებას არ დაიმცირებს და გმირულადვე დაჰლევს სულს, რისთვისაც ამ თავითვე მოხარულნი ვართ სულითა და გულით“.

— ბოლგარიის საერო კრებას გადაუწყვეტია, რომ ამ აწ დამოუკიდებელ სახელმწიფოს სატახტო ქალაქს სოფიაში დაარსებულ იქმნას უნივერსიტეტი.

— იშვიათი ამბავია, ძალიან იშვიათი, რომ ეპისკოპოსი, ეს სასულიერო ადამიანი, იმავე დროსვე დრამატურგიც იყოს და ამიტომ სიამოვნებით აღვნიშნავთ ამ ამბავს. მდიდარს ვენგრიელს კოჩანს ამას წინად ფული გადაუდვია თავისის ჯიბიდგან და გამოუცხადებია, რომ ეს ფული იმას მიეცემა, ვინც უფრო საუკეთესო პიესას დასწერსო. ამ განცხადების თანახმად ეპისკოპოსს კარლ შასსეს გაუგზავნია გამომცხადებლისათვის მშვენიერი ტრაგედია „სიკვდილი ატტილასი“, ლექსად დაწერილი. ტრაგედიას ამ ზამთარს წარმოადგენენ თურმე ბუდაპეშტში. არავინ იცის ჯერ ეს ყოვლად პატივცემული ადამიანი დაესწრება თუ არა თავისის ტრაგედიის წარმოდგენას, ხოლო ის კი ეჭვს გარეშეა, რომ ბუდაპეშტის თეატრს მეტად იშვიათი შემთხვევა ნებას აძლევს თავისს სათეატრო წარმოდგენის განცხადებაზე ეპისკოპოსის სახელი აღნიშნოს.

◆

## დეპეშა

12 დეკემბერი

**ორიოლი.** ნაფიც მსაჯულებმა გაამართლეს ყველანი, ვისაც ჰბრალდებოდა ბრიანსკის საურთიერთო ნდობის ბანკის ფულის გაფლანგვა.

**სოფია.** მინისტრება ნაჩევიჩი და სტოილოვი სამსახურიდგან გადადგნენ იმ უსიამოვნების გამო, რომელიც სტამბულოვთან მოუვიდათ. იმათ მაგიერ მინისტრებად დანიშნულნი არიან სტალბაშევი და ტოპჩევი.

**ზანზიბარი.** გერმანიის გემმა შეიპყრო ერთი სხვა გემი, რომელსაც ტყვეები მიჰყავდა. 140 ტყვე განათავისუფლეს. ბევრი არაბი შეიპყრეს. განთავისუფლებულთათვის განზრახვა აქვსთ გამართონ სამისიონერო კოლონია.

**ლონდონი.** პარლამენტის სხდომები დასრულდა სეფე-სიტყვით. ამ სიტყვაში მოხსენებულია, რომ ინგლისი ვერ მოურიგდა ჩრდილოეთ-ამერიკის შტატებს თევზის ჭერის საქმის გამოვ. აგრეთვე მოხსენებული იყო, რომ ინგლისი და გერმანია ერთად ჰმოქმედებენ მოსპონ ტყვეებით ვაჭრობაო. სიტყვის დასასრულში ისიც იყო ნათქვამი, თუ რა მდგომარეობაშია ეგვიპტის საქმე.

### პეტერბურგის ბირჟა, 9 დეკემბ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 80 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 156 |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 18 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 272½ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 245½ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | 97 | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | 97 | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | 81 | — „ | — „ |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ 7396.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქრონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქრონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1888 წლის ზედ-ნადებია—25.
დეკემბერი 31 დღით არის.

14 დღე ოთხშაბათი. მოწ. ფირსისა, ფილიმონისა, აპოლონისა და სხ. კათოლ. წმ. ტელისფორისა. მაჰმად. მე-23 რიცხვი თვისა რები-ულ-ახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—0. ტფილისში მზე ამოდის 7—26, ჩადის 4—36. მთვარე 24 დღისაა.

15 დღე ოთხშაბათი. წმ. პავლესი. კათოლ. წმ. ნინოსი და ირენეასი. სომეხ. წმ. იაკობისა. მაჰმად. მე-24 რიცხვი თვისა რები-ულ-ახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1. ტფილისში მზე ამოდის 7—26, ჩადის 4—37. მთვარე 25 დღისაა.

16 დღე პარასკევი. მოწ. მარინესი და წმ. სოფიოსი. კათოლ. წმ. ადელიასი. მაჰმად. მე-25 რიცხვი თვისა რები-ულ-ახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2. ტფილისში მზე ამოდის 7—27, ჩადის 4—38. მთვარე 26 დღისაა.

17 დღე შაბათი. წინასწარ-მეტყ. დანიელისა და სამთა ყრმათა ანანიასი, აზარიასი და მისაელისა. კათოლ. ეპ. ლაზარესი. სომეხ. წმ. იაკობისა და სხ. მარხვა უხსნილდებათ. მაჰმად. მე-26 რიცხვი თვისა რებიულ-ახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2. ტფილისში მზე ამოდის 7—27, ჩადის 4—38. მთვარე 27 დღისაა.

# განცხადებანი

სოლომან მამულაშვილი,
**გამოცდილი მებაღე,**

ეძებს ადგილს. კარგად იცის მოვლა ვაზისა და ხეხილისა. უმსახურნია თ. ივ. კონ. ბაგრატიონ-მუხრანსკისას და ამისი მოწმობაცა აქვს. ადრესი რედაქციაში. (3—2)

ისყიდება სოხუმიდამ 24 ვერსზე.

**მამული ვორონოვისა**

ათასი დღიური შენობებითა და სამეურნეო მოწყობილობით.

ვისაც ჰსურს შეიძინოს ეს მამული, მიჰმართოს დაწვრილებით გარემოების შესატყობად **სოხუმში** ივანე ვასილის ძეს ენიუტინს. (24—21)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 | თვით . . . | 10 მ. | —კ. | 6 | თვით . . . | 6 მ. | —კ. |
| 11 | „ . . . | 9 „ | 50 „ | 5 | › . . . . . | 5 „ | 25 „ |
| 10 | „ . . . | 8 „ | 75 „ | 4 | › . . . . . | 4 „ | 75 „ |
| 9 | „ . . . | 8 „ | — „ | 3 | › . . . . . | 3 „ | 50 „ |
| 8 | „ . . . | 7 „ | 25 „ | 2 | › . . . . . | 2 „ | 75 „ |
| 7 | „ . . . | 6 „ | 50 „ | 1 | › . . . . . | 1 „ | 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

**არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.**

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალ იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩა, სახლი ბასტამოვისა, № 5.

დაიბეჭდა და ისყიდება
გრ. ჩარკვიანის ქართულ წიგნის მაღაზიაში

1889 წ.

**ქედლის ქართული-კალენდარი.**

ფასი ორი აბაზი. (3—3)

Доз. ценз. Тифлисъ 13-го Декабря 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე